# ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი

2023 2024

შენთვის, შენი გულისთვის!

ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი
JO ANN UNIVERSITY HOSPITAL

# ჩვენი მისია
# OUR MISSION

ჩვენი მისია თქვენს ჯანმრთელობაზე ზრუნვა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაა.

Our mission is to take care of your health and improving the quality of life.

ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი
JO ANN UNIVERSITY HOSPITAL

# ჩვენი ხედვა
# OUR VISION

ვადგენთ მტკიცებულებაზე დაფუძნებული სამედიცინო სერვისების მიწოდების მაღალი ხარისხის სტანდარტს.

We establish evidence-based medical High quality standard of service delivery.



# ზაზა სოფრომაძე

## ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის გენერალური დირექტორი

**ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის** დამფუძნებელი **2022** წლის აპრილიდან **ევროპის უნივერსიტეტი** გახდა. ჰოსპიტალმა შეიძინა **C ტიპის** შერეული მრავალპროფილური სტაციონარის სტატუსი. შესაბამისად, გაიზარდა კლინიკაში არსებული სამედიცინო სერვისების ჩამონათვალი.

**2022 წლის 1 სექტემბრიდან** ფუნქციონირება დაიწყო **გადაუდებელი სამედიცინო დახმარების** სამსახურმა.

**2022 წლის ნოემბრიდან** ჩამოყალიბდა ანგიოქირურგიული მიმართულება. პარალელურად შეიქმნა ნევროლოგიური სამსახური, პედიატრიული განყოფილება, შინაგანი სნეულებების სამსახური და იმუნიზაციის კაბინეტი.

**2023 წლის აპრილიდან** ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალმა ხელშეკრულება გააფორმა კლინიკებისთვის აკრედიტაციის მიმნიჭებელ საერთაშორისო ორგანიზაცია **"აკრედიტაცია კანადასთან"** და საერთაშორისო სამედიცინო სტანდარტების დასაკმაყოფილებლად ჰოსპიტლის ყველა თანამშრომელი სამუშაო პროცესშია ჩართული.







**2023 წელს ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის** რეანიმაციულმა განყოფილებამ დააკმაყოფილა ჯანდაცვის სამინისტროს ახალი რეგულაციები და მოიპოვა ლიცენზია - **„რეანიმაციული მომსახურება, ინტენსიური მკურნალობა/მოვლა I, II, III დონე“.** ახალი სტანდარტების მიხედვით მოეწყო და აღიჭურვა რეანიმაციული განყოფილება.

**ჯო ენის ჰოსპიტალმა 2023 წელს** მოიპოვა **ინსულტის მართვის** პირველადი ერთეულის/ნეიროვასკულარული ცენტრის სტატუსი, ჩაერთო ინსულტის მართვის 2-დონიან სისტემაში.

**შევიძინეთ ახალი** ექოსკოპიური აპარატები, ნეირონავიგაციის აპარატი, ელექტრონული მიკროსკოპი, ლაზერის აპარატი, ელექტროენცეფალოგრაფიის აპარატი, ანტიარითმული აპარატი და მაღალტექნოლოგიური სერვისებისთვის საჭირო სხვა აპარატურა. სამომავლოდ დაგეგმილია პაციენტთა მოვლისა და მკურნალობის ახალი სტანდარტების დანერგვა, სამედიცინო სერვისების გაფართოება, საწოლფონდის ზრდა და ახალი სერვისების დანერგვა.



# მაია ცანავა

## ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის გენერალური დირექტორის მოადგილე

**ჯო ენის სამედიცინო ცენტრი 2022 წლის აპრილიდან** სრულიად ახალ ამპლუაში, როგორც **საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი** წარსდგა მომხმარებლის წინაშე, ამ პერიოდიდან მოყოლებული, მიმდინარეობს უწყვეტი ზრდა და განვითარება.

**2023 წლის** მთავარ გამოწვევად ჩვენთვის საერთაშორისო აკრედიტაციის მისაღებად მიმდინარე რთულ და საინტერესო სამუშაო პროცესში ჩართულობა იყო.

**ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი** თანამშრომლობს **„აკრედიტაცია კანადასთან“**, რომელსაც 60-წლიანი გამოცდილება აქვს სამედიცინო დაწესებულებების აკრედიტაციის სფეროში. იგი წარმოდგენილია 1000-ზე მეტი დარგის ექსპერტისგან, 35-ზე მეტ ქვეყანაში და მსოფლიოს მასშტაბით აკრედიტებული აქვს 12 000 სამედიცინო დაწესებულება.

**საერთაშორისო აღიარების მნიშვნელობა** არის ძალიან მაღალი კვალიფიკაციისა და ღირებულების მატარებელი, რომელიც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ჰოსპიტლის რეპუტაციასა და ჯანდაცვის ხარისხს. საერთაშორისო პრაქტიკის და სხვადასხვა კვლევის მიხედვით, კლინიკების მიერ საერთაშორისო აკრედიტაციის გავლა, ადამიანური შეცდომების რისკს 30%-ით ამცირებს, ზრდის კონკურენტულ უპირატესობებს, სამედიცინო დაწესებულებებს ეხმარება ადგილობრივი და საერთაშორისო ჯანდაცვის რეგულაციებისა და სტანდარტების დაკმაყოფილებაში, ზრდის თანამშრომლების კმაყოფილებას, სიამაყეს და ლოიალურობას.

**„აკრედიტაცია კანადას“** მიღებას **ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი** 2024 წლის ნოემბერში გეგმავს.



# პაატა ბუკია

კლინიკური დირექტორი

ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი უკვე მრავალპროფილური კლინიკაა, მაგრამ ისევ ინარჩუნებს ლიდერობას კარდიოქირურგიის მიმართულებით, განსაკუთრებით გულის თანდაყოლილი მანკების მკურნალობაში და არითმოლოგიაში.

2023 წელს ამბულატორიული ვიზიტით კლინიკას სულ მიმართა 17 851-მა პაციენტმა. სტაციონარული მომსახურება გაეწია 4 107 პაციენტს.

სულ გაკეთდა 980 ოპერაცია (კარდიოქირურგიული, ანგიოქირურგიული და სხვ). აქედან გულის თანდაყოლილ მანკებზე - 207 ოპერაციული ჩარევა, ხოლო 526 ანგიოქირურგიული (77-80% ინტერვენციით). გულის თანდაყოლილი მანკების შემთხვევაში - 219 ანგიოგრაფია, აქედან 109 ინტერვენცია.

სულ გაკეთდა 691 კორონაროგრაფია, აქედან 274 სტენტირება. არითმოლოგიური ინტერვენცია ჩაუტარდა 236 პაციენტს.

ჰოსპიტალში ფუნქციონირებს 3 საოპერაციო და 3 კათეტერიზაციის ლაბორატორია. ჯერჯერობით ჰოსპიტლის საწოლფონდი შეადგენს 75-ს. მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, რომლის დასრულების შემდეგ გაიზრდება როგორც საწოლფონდი, ასევე საოპერაციოების რაოდენობაც. ამ ეტაპზე ჰოსპიტალში ფუნქციონირებს მოზრდილთა მულტიპროფილური განყოფილება. უახლოეს მომავალში საწოლფონდის რაოდენობა განაპირობებს არსებული სერვისების პროფილების მიხედვით გადაწყობას.

# ფინანსური შესრულება

| | 2021 | 2022 | 2023 |
|---|---|---|---|
| შემოსავალი | 14,553,000.00 | 22,220,000.00 | 25,335,293.00 |
| ხარჯი | (16,923,000.00) | (20,305,000.00) | (26,033,051.60) |
| ~ | (2,370,000.00) | 1,915,000.00 | (697,758.60) |




2023 წლიდან ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში განხორციელდა 5 000 000 ლარის ინვესტიცია.

მოეწყო ახალი კათლაბი, შევიძინეთ ახალი აპარატურა და მუდმივად უზრუნველვყოფთ მოვლის მაღალ ხარისხს.

# სტატისტიკა

| სამედიცინო სერვისები | 2023 | 2024 (I-VI) |
|---|---|---|
| ამბულატორიული ვიზიტები | 17851 | 10784 |
| ემერჯენსი | 760 | 232 |
| სტაციონარში შემოსული პაციენტები | 3347 | 1795 |
| ოპერაციების რაოდენობა | 980 | 594 |
| ბავშვები | 261 | 130 |
| მოზრდილები | 719 | 464 |
| არითმოლოგიური ჩარევა | 236 | 121 |
| ბავშვები | 33 | 11 |
| მოზრდილები | 203 | 110 |
| მოზრდილთა ანგიოგრაფია | 691 | 397 |
| აქედან სტენტირება | 274 | 155 |
| ბავშვთა ანგიოგრაფია | 219 | 85 |
| აქედან ინტერვენცია | 109 | 35 |

2023 წელს სისხლის ბანკს ჰყავდა 2845 დონორი. სისხლი ჩააბარა 2521-მა. ერითროციტული მასის ტრანსფუზია დასჭირდა 2245 პაციენტს. 1746 პაციენტს დასჭირდა ახლადგაყინული პლაზმის ტრანსფუზია. 13 პაციენტს დასჭირდა აფერეზული პლაზმის ტრანსფუზია. 40 პაციენტს დასჭირდა აფერეზული თრომბომასის ტრანსფუზია.

## ახალი აპარატურა

### 2023 წლიდან დღემდე ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი აღიჭურვა უახლესი აპარატურით

- ნეირომიკროსკოპი - Zeiss Pentero;
- ლაზერის აპარატი - Biolitec Leonardo dual 45;
- კარდიოვასკულარული აპარატები (ECMO) - Medtronic Bio Concole 560;
- კომპიუტერული ტომოგრაფი - Toshiba;
- კათლაბი - Shimadzu +;
- მე-8 თაობის ნეირონავიგაცია;
- ენცეფალოგრაფი - Ebneuro;
- ენდოსკოპი - Olympus CLV260;
- სისხლის მიმოქცევის ხელოვნური აპარატი - Terumo System 1;
- ლაპარასკოპი - Storz Image 1 Hub HD System;
- ელექტროფიზიოლოგიური აპარატი - Abbott.



# ახალი აპარატურა



კომპიუტერული ტომოგრაფი Toshiba



კათლაბი Shimadzu +




მე-8 თაობის ნეირონავიგაცია




# ძირითადი მიღწევები

ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში გულის თანდაყოლილი მანკების განყოფილებაში დანერგილია მკურნალობის უახლესი მეთოდები.

ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში დაარსებიდან დღემდე არაერთი რთული ოპერაცია ჩატარდა, თუმცა, Nikaidoh პროცედურა ამ დრომდე არათუ საქართველოში, არამედ ამიერკავკასიაშიც არ გაკეთებულა. Nikaidoh პროცედურა, ისევე როგორც ბევრი სხვა თანამედროვე პროცედურა თუ ოპერაცია, საქართველოში პირველად სწორედ ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში ჩატარდა. ის შედარებით რთული და კომპლექსურია ექიმების გუნდისთვის. სწორედ ამიტომ ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი ამაყობს იმით, რომ ასეთი სირთულის ოპერაცია წარმატებით გააკეთა ბავშვთა კარდიოქირურგმა თენგიზ შირიაევმა.

Nikaidoh პროცედურა არის ოპერაცია, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას გულის თანდაყოლილი დეფექტების გამოსასწორებლად, როგორიცაა მაგისტრალურ სისხლძარღვთა გამოსვლა მარჯვენა პარკუჭიდან (DORV) ან მაგისტრალურ სისხლძარღვთა ტრანსპოზიცია მარცხენა პარკუჭის გასასვლელი ტრაქტის ობსტრუქციით (TGA, LVOTO). ეს ოპერაცია გულისხმობს აორტის „გადაადგილებას“ მის ანატომიურ ადგილას, მარცხენა პარკუჭისკენ, განსხვავებით მისი ალტერნატიული ოპერაციებისგან, სადაც აორტა უკავშირდება მარცხენა პარკუჭს ეგრეთ წოდებული “გვირაბის” მეშვეობით.

ასეთ პაციენტებს მომავალში დასჭირდებათ ნაკლები განმეორებითი ოპერაციები და ეს კორექცია ბევრად უფრო ფიზიოლოგიურია გულისთვისაც. პატარა პაციენტი 1 კვირაში გაეწერა სახლში და აგრძელებს ჯანმრთელ ცხოვრებას.




# ძირითადი მიღწევები

ბავშვთა კარდიოქირურგმა **ომარ გოგიამ** ძალიან დაბალი წონის პაციენტზე ფილტვის ვენების სრული ანომალიური დრენაჟის კორექცია ჩაატარა.

**თანამედროვე მედიცინაში** ფილტვის ვენების სრული ანომალიური დრენაჟის სუპრაკარდიალური ფორმის კორექცია არ წარმოადგენს დიდ სირთულეს, მაგრამ როდესაც ეს დიაგნოზი აქვს დღენაკლულ, 34 კვირის გესტაციის, 26 დღის და მხოლოდ 1800 გრამის წონის მქონე ბავშვს, ეს არის დიდი გამოწვევა ნებისმიერი გუნდისთვის, მსოფლიოს ყველა სამედიცინო ცენტრში.

**სამედიცინო ლიტერატურაში** ამ წონის ბავშვზე ჩატარებული მსგავსი ოპერაციების მხოლოდ ერთეული შემთხვევებია აღწერილი, არსებულ სიას ჩვენი პაციენტიც დაემატა.

**ოპერაციიდან მე-8 დღეს** პაციენტი მოიხსნა ფილტვების ხელოვნური ვენტილაციიდან. ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში ის იმყოფებოდა **10 დღე.** მისი დაბალი წონიდან გამომდინარე, მას ესაჭიროება ნეონატოლოგიური მეთვალყურეობა და ამიტომ გადაყვანილია სპეციალიზირებულ კლინიკაში. ეს შემთხვევა კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული რგოლის: ბავშვთა კარდიოლოგის, კარდიოქირურგის, ანესთეზიის, პერფუზიის და ინტენსიური თერაპიის სამსახურების ერთობლივი და შეთანხმებული მუშაობა.




# ძირითადი მიღწევები

საქართველოში ბავშვებში ანტიარითმული მკურნალობა და ჩარევები მხოლოდ ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში ხდება. პროფესორმა გიორგი პაპიაშვილმა 1,5 თვის ბავშვს აბლაცია გაუკეთა. ქართულ რეალობაში ეს არის ყველაზე პატარა და მცირეწონიანი ბავშვი, ვისაც აბლაცია ჩაუტარდა.

როგორც წესი, ასეთ მცირე ასაკზე და წონაზე აბლაციის ჩატარების გადაწყვეტილება ძალიან კონსერვატიულია და პრაქტიკულად, მხოლოდ სასიცოცხლო ჩვენებით კეთდება, რადგან ძალიან ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული როგორც მიდგომის, ისე, გართულებების რისკის თვალსაზრისით.

დღეისათვის შეუძლებელია სააბლაციო კათეტერების სრულყოფილი ადაპტირება ასეთი პატარა პაციენტების გულის კამერების ზომებთან. პაციენტი ჰოსპიტალში შემოიყვანეს მდგრადი სუპრავენტრიკულური ტაქიკარდიით და ამ ფონზე განვითარებული მძიმე გულის უკმარისობით, პრაქტიკულად, კარდიოგენული შოკით.

აბლაციიდან მალევე პაციენტის ჰემოდინამიკა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. შესაძლებელი გახდა ინოტროპული მხარდაჭერის შემცირება და შემდეგ სრულად მოხსნა. რამდენიმე დღეში პაციენტი ნორმალურ მდგომარეობაში გაეწერა კლინიკიდან.




# თენგიზ შირიაევმა ტყუპ დებს გულის ოპერაცია ერთ დღეს გაუკეთა

ტყუპი დების - ნია და ნუცი ჯუსოშვილების დედა ანი იხსენებს იმ ემოციებს, როცა თენგიზ შირიაევმა ორივე ბავშვის ოპერაცია ერთ დღეს გააკეთა.

**ნუცას პრობლემის** შესახებ 2 წლით ადრე გავიგე და მქონდა ინფორმაცია მისი დიაგნოზის შესახებ. ფსიქოლოგიურადაც მზად ვიყავი, რომ გულის ოპერაცია უნდა გაკეთებულიყო. მოძიებული მქონდა ყველანაირი ინფორმაცია, ვიცოდი, რომ ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში უნდა გამეკეთებინა ოპერაცია, ოღონდ არ მინდოდა ღია ჭრილობით გაკეთებულიყო, ყველაფერს ვკითხულობდი, ყველანაირ საშუალებას ვეძებდი, რომ ღია ჭრილობა თავიდან ამეცილებინა. როცა ქირურგს შევხვდი, ბატონმა თენგიზ შირიაევმა მითხრა, თუ მენდობი და გინდა შედეგი, ნუ დამაყენებ არჩევანის წინაშე რა მეთოდით გავაკეთო ოპერაციაო. ამიხსნა რა სირთულის ოპერაცია კეთდებოდა და დამარწმუნა, რომ უალტერნატივო იყო ღია ჭრილობით ოპერაცია. ერთადერთი, რაც შიშს მგვრიდა, ეს იყო გულის გაჩერება. თუმცა, თენგო ექიმმა ისე კარგად ამიხსნა ყველაფერი და ისე დამარწმუნა, რომ გულის ამუშავება მათთვის სირთულეს არ წარმოადგენდა, ხელები ავწიე, ვენდე და დავთანხმდი.

**რაც შეეხება ნიას,** მისი პრობლემის შესახებ არ ვიცოდით და ნუცას ოპერაციისთვის სამზადისის დროს შევიტყვეთ. **თამარ სამხარაძემ** ექო რომ გადაუღო, უკვე ისე ვიყავი გათვითცნობიერებული, მეც კი დავინახე, როგორ ფრიალებდა ძგიდე. თამარმა რომ მითხრა, ამასაც პრობლემა აქვსო, იმ წამსვე ის გავიფიქრე, რომ ნიასთან მაინც არ გავაკეთებდით ღია ჭრილობით ოპერაციას.



# პაციენტთა ისტორიები

**ვახტანგ ხელაშვილთან** რომ შევედი, მითხრა, ნიას უფრო დიდი პრობლემა აქვს, ვიდრე ნუცას და ეს სასწრაფოდ საოპერაციოა, ნუცას დაყოვნება თუ შეიძლება, ნიასი არ შეიძლებაო. გადაწყვეტილების მისაღებად 2-3 საათი ვითხოვე. არ მახსოვს სახლში როგორ მივედი, მალევე დავრეკე ჰოსპიტალში და ვთქვი, თუ გავაკეთებ, ორივეს ერთ დღეს გავუკეთებ ოპერაციას-მეთქი. ახლობლები მირჩევდნენ, ორივეს ერთ დღეს ნუ გაუკეთებ, ჯერ ერთი გააკეთე, ნახე რა შედეგი ექნება და მერე გადაწყვიტე მეორე ოპერაციაო.

**მე** გათვითცნობიერებული მქონდა რას ვაკეთებდი, როგორ ექიმებთან მქონდა საქმე, მაგრამ სხვებს უფრო ეშინოდათ და სიფრთხილისკენ მომიწოდებდნენ. ამბის გაგებიდან 2 დღე მქონდა სრული შოკი. მერე უკვე ქვასსავით გავხდი და დავბლოკე ყველანაირი ცუდი ფიქრი.

**ნია** ზედმეტად ემოციური ბავშვია, ექიმების დანახვაზე სულ რეაგირებდა და ტიროდა. ამიტომ ნიას ვერ ვუთხარი, რომ საოპერაციო იყო. ნუცა თავიდანვე შეგუებული იყო, რომ ოპერაცია უნდა გაეკეთებინა. ჯო ენის ჰოსპიტლის **ფსიქო-სოციალური სამსახურის** გოგოებთან მეც გავიარე კონსულტაცია, ძალიან დამეხმარნენ.

**ნია და ნუცი** საავადმყოფოში რომ მიმყავდა, ნიას ვუთხარი, რომ იმიტომ მიმყავდა, ნუცის გვერდით რომ ყოფილიყო. თან შევაპარე, როგორც ნუცი დააძინეს და კვლევა გაუკეთეს, შენც ისეთს გაგიკეთებთ-მეთქი. შემოვედით ჰოსპიტალში თუ არა, ნიამ ეგრევე ტირილი დაიწყო. ფსიქოლოგებს დავურეკე და ნია იმ წუთიდანვე მათ გადაიბარეს. აქტიურად იმუშავეს ბავშვებთან. ოპერაციის დღე რომ დადგა, დილით პალატაში ნია ამბობს, თუ არ მიკეთებდნენ ოპერაციას, ასე ადრე რატომ მომიყვანეთო. ეს უკვე ფსიქოლოგების მუშაობის შედეგი იყო. ანესთეზიოლოგი **ალექსი რევაზიშვილი** რომ შემოვიდა პალატაში, ნია ისე გაჰყვა, უკან არც კი მოუხედავს.



# პაციენტთა ისტორიები

**ბავშვი** რომ ლიფტში შეიყვანეს და საოპერაციოში აჰყავდათ, ალექსიმ ექთნებს უთხრა, ამ ბავშვს ბევრი მიმხედავი ჰყავს, ზედმეტი ყურადღება აღარ სჭირდება და გთხოვთ, დედას მიხედეთო. აი, მანდ უკვე ამოხეთქა ჩემმა ემოციამ და ისე ვტიროდი, ნუცისთან პალატაში ველარც დავბრუნდი. არც ოჯახის წევრებს და არც სხვა პაციენტების მშობლებს არ დავენახე, ჩემი ემოცია მათაც რომ არ გადადებოდათ.

**ნუცას ოპერაციაც** რომ მორჩა, აღარანაირი რეაგირება არ მქონდა. ბავშვები ვიდრე დაინტუბირებულები იყვნენ, მათ სანახავად არ ავედი. საღამოს 10 საათი იქნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამდენი ხნის ნანერვიულები და უძინარი ვიყავი, უცებ ისეთ ენერგიაზე მოვედი, თითქოს ღრმა ძილიდან გამოვფხიზლდი და ახალი ძალა მომეცა. ხასიათიც კარგი მქონდა. 11-ზე უკვე ავედი და ორივე ბავშვი ვნახე. ორივენი თავს კარგად გრძნობდნენ. ოპერაციის მერე ქირურგი და ექიმები რომ მეკითხებოდნენ, რაიმე შეკითხვა ხომ არ გაქვთო, იმდენად დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი შვილების გული და სიცოცხლე ძალიან მაგარ ექიმებს ვანდე, რომ ისიც კი არ მიკითხავს ბავშვები როგორ იყვნენ. დარწმუნებული ვიყავი, რომ კარგად იქნებოდნენ. იმ დღეების შოკის მერე, აღარაფრის მეშინია.

**ოპერაციიდან მე-2 დღეს** გოგონები ფეხზე დადგნენ. **მე-5** დღეს სახლში გაგვწერეს. **მე-10** დღეს ონლაინ გაკვეთილებზე ისხდნენ და ერთ თვეში სკოლაში წავიდნენ. დღეს თავს კარგად გრძნობენ. დავრწმუნდი, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე, როცა ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში მოვედი, როცა აქაურ ექიმებს ვენდე და რომ ერთ დღეს გავაკეთე ორივე ბავშვის ოპერაცია.

**მთელი ოჯახი** მადლობელნი ვართ ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის ექიმთა გუნდის.



# პაციენტთა ისტორიები

## სიცოცხლით და ოპტიმიზმით სავსე 90 წლის კესო ბებო

**90 წლის** კესო ღარიბაშვილს ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში მოზრდილთა კარდიოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელმა, კარდიოქირურგმა **არტურ ლემონჯავამ** მიტრალური სარქვლის პლასტიკა და აორტის სარქვლის პროთეზირება გაუკეთა.

**ოპერაციამ** და სარეაბილიტაციო პერიოდმა წარმატებით ჩაიარა. ენერგიით სავსე კესო ბებო შვილებს სოფელში დაბრუნებას საავადმყოფოდანვე სთხოვდა და ასი წლის იუბილეზე ჯო ენის ექიმებიც წინასწარ მიიპატიჟა.

**არტურ ლემონჯავა:** ქალბატონი კესო ჯო ენის ჰოსპიტალში მოთავსდა გამოხატული გულის უკმარისობით, დაზიანებული ჰქონდა 2 სარქველი. აორტის სარქველზე ჰქონდა მკვეთრი შევიწროება და ჰქონდა მიტრალური სარქვლის ნაკლოვანება. დიდი მსჯელობის მერე გადავწყვიტეთ ქირურგიული ჩარევა. გამოიცვალა აორტის სარქველი და გაკეთდა მიტრალური სარქვლის პლასტიკა.

**ოპერაციამ** ჩაიარა გართულების გარეშე, რეაბილიტაციის პერიოდმაც ჩაიარა გართულების გარეშე და პაციენტი მალევე კარგად გრძნობდა თავს. დიდი მადლობა ქალბატონ კესოს ნდობისთვის. ის არის სიცოცხლით სავსე და ძალიან პოზიტიური ადამიანი, ერთ-ერთი მიზეზი, რამაც ოპერაციის გასაკეთებლად გადაწყვეტილების მიღებაში ხელი შეგვიწყო, ეს იყო ქალბატონი კესო და მისი ოპტიმიზმი.

# პაციენტთა ისტორიები



**კესო ღარიბაშვილი:** 90 წლის ვარ. გული ძალიან მაწუხებდა. სუნთქვა მიჭირდა. შვილები მეხვეწებოდნენ, ექიმთან წამოდიო, მე არ მივყვებოდი. ცოტა გაზარმაცებული ვიყავი, არ მინდოდა ექიმებთან სიარული. ერთხელაც, შუაღამით ძალიან ცუდად გავხდი, ვეღარ ვსუნთქავდი და წამომიყვანეს ჯოენში.

**კლინიკაში დამხვდნენ** ძალიან ძვირფასი ექიმები, მითხრეს, საოპერაციო ხარო, მაგრამ ცოტა ასაკი „გვიშლის ხელსო“ და თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, გაგიკეთოთ თუ არა ოპერაციაო. შვილები დაფიქრდნენ და შეეშინდათ, ვაითუ ვეღარ გადაიტანოსო. მე ვუთხარი, გამიკეთეთ, არ მეშინია, მე გადავიტან ამ ოპერაციას-მეთქი!

**გამიკეთეს ოპერაცია** და დღეს ცოცხალი ვარ. თავს კარგად ვგრძნობ, გულიც კარგად მუშაობს და შემართებით ვარ. მადლობელი ვარ ამ საავადმყოფოსი, მთელი კოლექტივის, ჩემი ქირურგის, ბატონი **არტურ ლემონჯავასი** და მკურნალი ექიმის **დავით გაბელაიასი.** დავლოცავ ჩემს ექიმებს. ღმერთმა სულ სიხარული და ბედნიერება მისცეთ. ისე ძალიან შემიყვარდნენ ჩემი ექიმები, არც მეთმობიან რომ წავიდე აქედან. რამდენი ხანი ვიცოცხლებ, არ ვიცი, მაგრამ ბედნიერი ვარ, ჩემს შვილებთან და შვილიშვილებთან ვარ. ასი წლის იუბილეზე კახეთში სუფრას გავაკეთებ და დავპატიჟებ ჩემს ექიმებს.

# პერსონალი და გუნდის მაჩვენებლები

  

- **ჯო ენის საუნივერსიტეტო** ჰოსპიტლის წარმატებას განაპირობებს თანამშრომელთა პროფესიონალიზმი, ერთგულება და გუნდურობა. ჰოსპიტალში დასაქმებულია კადრები, რომლებიც დაარსების დღიდან მუშაობენ. ამ მხრივ მისასალმებელი და დასაფასებელია მათი ერთგულება;

- **თანამშრომლებისთვის** კორპორატიული ბენეფიტების შეთავაზება, ჯანმრთელობის დაზღვევისა და Fitpass-ის შეღავათების მიწოდება შესანიშნავი ინიციატივაა სამუშაო ადგილის კეთილდღეობისა და ლოიალობის გასაუმჯობესებლად, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს თანამშრომელთა კმაყოფილებას

- **გუნდური მუშაობის**, ნდობისა და კოორდინაციის გაძლიერების მიზნით, ასევე ჯანდაცვის სფეროში ყოველდღიური სტრესის შესამსუბუქებლად მნიშვნელოვანია თანამშრომელთა სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართვა. იქნება ეს ექსკურსიები, თიმ-ბილდინგი, სემინარები, კორპორატიული ღონისძიებები თუ მოწვეული ფსიქოლოგის სალექციო კურსის მოსმენა და ჩართულობა.  ეს ხშირად ფოკუსირებულია რელაქსაციაზე, სტრესის შემსუბუქებაზე და სამუშაო-ცხოვრების ბალანსის ხელშეწყობაზე.



# პერსონალი და გუნდის მაჩვენებლები









**ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის** ადმინისტრაცია თანამშრომლებს საშუალებას აძლევს ანონიმურად შეატყობინონ ნებისმიერი სახის ინციდენტი ან შესთავაზონ თავიანთი მოსაზრებები, რაც ხელს შეუწყობს ჰოსპიტალში არსებული წესების და კორპორატიული კულტურის განმტკიცებას.

**ანონიმური შეტყობინება** კონფიდენციალურია. შეტყობინების გასაგზავნად არსებობს 3 გზა:

- www.joann.ge
- irt@joann.ge
- კლინიკაში განთავსებული ანონიმური შეტყობინების ყუთები



## ხარისხი და უსაფრთხოება

# ინფექციის კონტროლი

### პროფესიული დაავადებები და უსაფრთხოების მართვა ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში

**ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის** ინფექციის კონტროლის სამსახური მუდმივად ჩართულია და მეთვალყურეობას უწევს სამედიცინო პერსონალის უსაფრთხოებას და პროფესიული დაავადებების მეთვალყურეობას.

**აკრედიტაცია კანადას** ფარგლებში ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში, ძალიან ბევრი ახალი პროექტი დაინერგა, თუმცა, ნებისმიერ მოცემულობაში 3 ძირითადი მიმართულება მუდმივად რჩება პრიორიტეტად, ესენია:

- ხელის ჰიგიენის მონიტორინგი;
- სამედიცინო პერსონალის უსაფრთხოება;
- უსგ - უწყვეტი სამედიცინო განათლება.

**სამედიცინო პერსონალის უსაფრთხოება:** იმუნიზაცია, სკრინინგი, სწავლება.

**ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში** წელიწადში ორჯერ ტარდება სასწავლო სესიები სამედიცინო და არასამედიცინო პერსონალისთვის, ასევე ეტაპობრივად მიმდინარეობს სამედიცინო პერსონალის უწყვეტი სამედიცინო განათლება ინფექციის პრევენციისა და კონტროლის მიმართულებით.



# ხარისხი და უსაფრთხოება

ჰოსპიტალში 6 თვეში ერთხელ ტარდება სკრინინგი B და C ჰეპატიტზე.

ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში მაღალ და ძალიან მაღალ რისკ ჯგუფებში სამედიცინო პერსონალის ვაქცინაცია სავალდებულოა B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინით.

## სასწავლო კურსით გათვალისწინებული თემებია:

- ინფექციის კონტროლი და ნოზოკომიური ინფექციების გავრცელების პრევენცია ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში;
- ხელის ჰიგიენის მონიტორინგის ინსტრუმენტების ადაპტირება და იმპლემენტაცია ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში;
- პირადი დაცვის საშუალებების გამოყენების წესები და იზოლაციური შემზღუდავი ღონისძიებები ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში;
- უსაფრთხო ინექციები, პერსონალის ინფიცირების რისკების მართვა პოსტექსპოზიციური პროფილაქტიკა;
- სამედიცინო ნარჩენების მართვა;
- ჰოსპიტლის დასუფთავებისა  და დეზინფექციის მნიშვნელოვანი საკითხები;
- ინსტრუმენტების/სამედიცინო დანიშნულების საგნების დეზინფექცია, სტერილიზაცია სამედიცინო დაწესებულებაში;
- ანტიმიკრობული პრეპარატების გამოყენების პოლიტიკა და ანალიზი ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში.

# უფასო სკრინინგი რეგიონებში










**ბავშვებში** გულის თანდაყოლილი მანკების გამოვლენის და მკურნალობის მიზნით, **ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი** რეგიონებში აქტიურად ატარებს უფასო კვლევებს. 2023-2024 წლის განმავლობაში გასვლითი აქციები ჩატარდა იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში და ქვემო ქართლში.

# საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ინიციატივები








2023 წელის ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციასთან და მონაწილეობა მიიღო თბილისის მერიისა და საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის ერთობლივ საპილოტე პროგრამაში, რომელიც თბილისის მუნიციპალიტეტის სპორტულ ცენტრებში განხორციელდა. თბილისის მასშტაბით არსებულ სპორტულ კომპლექსში სამედიცინო შემოწმება/სკრინინგი გაიარა 3-დან 18 წლამდე ასაკის 1000-ზე მეტმა ბავშვმა.

სამედიცინო შემოწმების დასრულების შემდეგ გაიცა რეკომენდაციები სპორტში ჩართულობის მიზანშეწონილობის და ჯანმრთელობის შემდგომი მონიტორინგის შესახებ. სამედიცინო შემოწმება საერთაშორისო გაიდლაინებისა და პროტოკოლების მიხედვით ხორციელდებოდა. სპორტული მედიცინის მხარდაჭერისთვის ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის გენერალურ დირექტორს ზაზა სოფრომაძეს საპატიო ჯილდო გადაეცა.

# მომავლის ხედვა



**ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი ევროპის უნივერსიტეტთან ერთად** გეგმავს სარეზიდენტო და უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამების სპექტრის გაფართოებას, უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობას, გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, ახალი ტექნოლოგიებისა და ახალი სამკურნალო მეთოდების და ტელემედიცინის დანერგვას.

.

**ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი** ახლო მომავალში გეგმავს ისეთი სამედიცინო სერვისების გაფართოებას როგორიცაა: ნეიროქირურგია, ზოგადი ქირურგია,ტრავმატოლოგია, პლასტიკური ქირურგია, შესაბამისად 50%-ით გაიზრდება ჰოსპიტალში არსებული საწოლფონდი

**ჰოსპიტალი** აპირებს გააგრძელოს კლინიკურ კვლევებში აქტიური ჩართულობა.

**USAID** - ის გრანტის ფარგლებში იგეგმება ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური სერვისის დანერგვა.



# ინოვაცია და კვლევა



**2023 წელს ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალმა** ევროპის უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერითა და ხელშეწყობით მერვე თაობის ნეირონავიგაციის აპარატი შეიძინა. ეს არის მსოფლიოში არსებული ბოლო მოდელი, რომლის საშუალებითაც თავის ტვინის სიმსივნის ბიოფსია ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში პირველად გაკეთდა.

**ნეირონავიგაციის** გამოყენებით გაცილებით უსაფრთხოდ და ზუსტად არის შესაძლებელი თავის ტვინის სიმსივნის ამოკვეთა და ბიოფსიის გაკეთება, ასევე - სხვადასხვა ტიპის მანიპულაციები ხერხემალზე.

**ახლო მომავალში** ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი ნეირონავიგაციური ტექნოლოგიით მიმდინარე სერვისების დანერგვას და განვითარებას გეგმავს.





# კონფერენციები

2023 წელს ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის გენერალური დირექტორი ზაზა სოფრომაძე და დირექტორის მოადგილე მაია ცანავა, სისხლძარღვთა ქირურგიული განყოფილების წამყვან სპეციალისტებთან ერთად გერმანიაში ნიურბერგში 25-ე საერთაშორისო ექსპერტთა სიმპოზიუმს დაესწრნენ, რომლის თემაც იყო „კრიტიკული გამოწვევები აორტის ენდოპროთეზირებაში“.

კონფერენციის ორგანიზატორი იყო ნიურბერგის სამედიცინო უნივერსიტეტის მთავარი ჰოსპიტლის სისხლძარღვთა ქირურგიული განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი ერიკ ვეირჰოვენი. კონფერენციაზე განხილულ იქნა სისხლძარღვთა მაღალტექნოლოგიური ოპერაციების შედეგები, ისეთები, როგორიცაა აორტის ანევრიზმების ენდოვასკულური მკურნალობის შედეგები და გაუმჯობესებისთვის საჭირო მიდგომები.

ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის ხელმძღვანელობა გაეცნო ევროპის წამყვანი კლინიკების სისხლძარღვთა ქირურგიული დეპარტამენტების განყოფილების უფროსებს და დაიგეგმა შემდგომში ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები. ამ ეტაპზე ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში კეთდება ყველა სირთულის სისხლძარღვთა ქირურგიული ოპერაციები, როგორც ენდოვასკულური, ასევე ღია წესით. სამომავლოდ იგეგმება ინოვაციური ოპერაციები უცხოელ კოლეგებთან ერთად.

# კონფერენციები
# სამეცნიერო ნაშრომები




**ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის** არითმოლოგმა, მედიცინის აკადემიურმა დოქტორმა, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორმა **გიორგი პაპიაშვილმა** მონაწილეობა მიიღო „აშშ-ის გულის რითმის საზოგადოების" კონგრესზე, ბატონმა გიორგიმ 2023 წელს საერთაშორისო სამედიცინო ჟურნალებში გამოაქვეყნა ორი სტატია.

**ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის** კარდიოინტერვენციონისტმა **სპარტაკ ლეკვეიშვილმა** ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრში მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა მულტიდისციპლინარულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში - „ახალგაზრდა მეცნიერები პლანეტის უკეთესი მომავლისთვის", სადაც წარადგინა მოხსენება თემაზე „გულის იშემიური დაავადების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდები".



**ასევე,** სპარტაკ ლეკვეიშვილმა აბსტრაქტულ წიგნში გამოაქვეყნა თეზისი: „ახალი კვლევის დაგეგმვის კონტექსტის შესახებ".

# განათლება და სამეცნიერო ნაშრომები



ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის ენდოკრინოლოგი სალომე ბულისკერია ევროპის უნივერსიტეტის დაფინანსებით 2 თვით იელის საუნივერსიტეტო კლინიკაში – Yale New Haven Health იმყოფებოდა. სალომემ იელის ენდოკრინოლოგიის დეპარტამენტში იელის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ სილვიო ინძუკისთან ერთად იმუშავა როგორც მიწვეულმა ექიმმა. სილვიო ინძუკი გახლავთ იელის სამედიცინო უნივერსიტეტის ენდოკრინოლოგიის დეპარტამენტის კლინიკური ხელმძღვანელი, იელის დიაბეტის ცენტრის სამედიცინო დირექტორი,



ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის მოზრდილთა ამბულატორიის ხელმძღვანელმა ანა გონჯილაშვილმა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში სამეცნიერო ნაშრომი გამოაქვეყნა, სათაურით - “The interplay between Sars-Cov-2 infection related cardiovascular diseases and depression. Common mechanisms, shared symptoms”.

https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2666022224000077

# განათლება და სამეცნიერო ნაშრომები




**ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის** სისხლძარღვთა ქირურგი **გიორგი ხელაძე** იმყოფებოდა ჩინეთის სისხლძარღვთა მე-9 საერთაშორისო კონფერენციაზე, გააკეთა მოხსენება თემაზე - "არაკლასიფიცირებული აორტის დისექციების მართვა/მკურნალობა", გადაეცა სერტიფიკატი.

**გიორგი ხელაძე** მოხსენებით წარსდგა ბელარუსის გულსისხლძარღვთა საერთაშორისო კონფერენციაზე თემით - "სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, მკურნალობის თანამედროვე მეთოდები".



# ევროპის უნივერსიტეტი

**ევროპის უნივერსიტეტის** მედიცინის ფაკულტეტი თანამედროვე ტექნოლოგიებით, დარგის წამყვანი სპეციალისტებით, სრულად აღჭურვილი ლაბორატორიებით და ადაპტირებული სასწავლო გარემოთი უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ჯანდაცვის სფეროში.

**ევროპის უნივერსიტეტი** 2022 წლიდან ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის სრული პაკეტის მფლობელია, რაც უზრუნველყოფს სასწავლო გეგმაში არსებული პრაქტიკის განხორციელებას. ასევე, ის არის ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის ფინანსური მხარდამჭერი.

**ფაკულტეტზე** სასწავლო პროცესს უძღვებიან ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის წამყვანი და პროფესიონალი ექიმები, ასევე ქვეყანაში აღიარებული სპეციალისტები, რომელთაც გააჩნიათ მრავალწლიანი საექიმო და პედაგოგიური გამოცდილება. მრავალფეროვანი სწავლებისა და შეფასების მეთოდები, იძლევა არამხოლოდ თეორიული ცოდნის, არამედ პრაქტიკული უნარების სრულფასოვნად ათვისების შესაძლებლობას.

**ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი** სრულად განახლებული აპარატურით წარმოადგენს ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის პრაქტიკული სწავლების მთავარ ბაზას.

**მედიცინის ფაკულტეტის** სტუდენტები ჰოსპიტალში გადიან სტაჟირებას, ერთვებიან კვლევით პროექტებში და მუშაობენ როგორც ექთნის დამხმარის, ასევე ექთნის პოზიციებზე.



# ევროპის უნივერსიტეტი

**ევროპის უნივერსიტეტი** ხელს უწყობს ჯანდაცვის სფეროში ახალი ცოდნის შექმნას აკადემიური პერსონალის კვლევითი პროექტების დაფინანსებით და მათი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობით.

**ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის** ქირურგები და ექიმები, რომლებიც ევროპის უნივერსიტეტის პროფესორები არიან, სტუდენტებს უზიარებენ საუკეთესო პრაქტიკას და არსებული უახლესი ტექნოლოგიური დანადგარებით მათ პროფესიულ უნარ-ჩვევებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ანვითარებენ.

**ფაკულტეტზე ფუნქციონირებს** ორი სიმულაციური ცენტრი, სადაც კლინიკური/დარგობრივი უნარების სწავლება და შეფასება მიმდინარეობს უახლესი სამედიცინო ტექნოლოგიების, მანეკენებისა და მულაჟების საშუალებით, მათ შორის 3D ანატომიური მაგიდა, VR ლაბორატორია, Body Interact და სხვა.



**მედიცინის ფაკულტეტის** სტუდენტები, მიღებული ცოდნით, შეესაბამებიან თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს და შეუძლიათ გამოიყენონ მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა თავიანთ პრაქტიკაში.

# პაციენტთა საბჭო



საერთაშორისო სამედიცინო აკრედიტაციის მოსაპოვებლად სამუშაო პროცესში ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალმა 2024 წლის ზაფხულში შექმნა პაციენტთა საბჭო და საიტზე განათავსა პაციენტის კმაყოფილების კითხვარი, რომელიც ონლაინ ივსება და ანონიმურად იგზავნება.

ჰოსპიტალში ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია პოსტერები, სადაც დატანილია QR კოდი, რომლის საშუალებითაც პაციენტები ან მათი ახლობლები ავსებენ კითხვარს.

პაციენტთა საბჭოს წევრები არიან ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის პაციენტები ან მათი ოჯახის წევრები. საბჭო რეგულარულად იკრიბება და მსჯელობს გამოკითხვის შედეგებზე. პაციენტთა საბჭოს ჩართულობა ჰოსპიტლის საქმიანობაში ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს - დაინახვენოს და უფრო მოქნილი გახდეს სერვისები.

## გიზიარებთ პაციენტების ან მათი ოჯახის წევრების რამდენიმე შეტყობინებას:

"მადლობა ვასო ექიმს და გოგოებს ვინც იღებს კარდიოგრამას, ასევე ფსიქოლოგს" 19/09/2024 22:23

"შეუფასებელია და ენით არ გადმოიცემა ის რასაც ჯოენის გუნდის ექიმები პაციენტების სიცოცხლისთვის აკეთებენ" 19/09/2024 15:01

"მადლიერი და კმაყოფილი თქვენით ამომწურავი ინფორმაციისთვის, მარიამის დედიკო" 04/09/2024 23:32

"საოცრად თბილი და ყურადღებიანი პერსონალი მიუხედავად დაძაბული და რთული სამუშაო პროცესისა" 05/07/2024 22:08

# მადლიერი პაციენტები













































# დონორთა მხარდაჭერა




ამერიკელი ხალხისა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დახმარებით, დღეს ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო ახლოსაა საქართველოში პედიატრიული ონკოლოგიის პრობლემების გადაჭრასთან.

ამერიკული საქველმოქმედო ორგანიზაცია Global Healing-ისა და ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის საერთო პროექტმა 2017/2018 წლებში მოიპოვა USAID-ის ASHA-ს (American Schools and Hospitals Abroad) პროგრამის გრანტი, რომლითაც შევძელით საქართველოში პირველი სრულფასოვანი ბავშვთა ონკოლოგიის ცენტრის შესაქმნელად საჭირო სარემონტო სამუშაოების დიდი ნაწილის შესრულება.

ჩვენი მთავარი მხარდამჭერი და მენტორი სამედიცინო ექსპერტიზაში არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე ამერიკული კვლევითი ჰოსპიტალი – Saint Jude Childrens Research Hospital. მათი ექსპერტიზით, ტრენინგებით, საუკეთესო პრაქტიკების, პროტოკოლებისა და კვლევითი ქსელების გაზიარებით ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის ბაზაზე იქმნება ბავშვთა ონკოლოგიის მოწინავე ცენტრი.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი კლინიკის ბაზაზე ზუსტად ასევე, ამერიკელი პარტნიორების, Global Healin-ისა და ამერიკული სამედიცინო ცენტრის Boston Medical-ის მხარდაჭერით, 28 წლის წინ საქართველოში შეიქმნა ბავშვთა გულის ქირურგიის ცენტრი (ამჟამად ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი), რომელიც თავისი არსებობის განმავლობაში უმაღლეს დონეზე ოპერირებს დარგის საუკეთესო სტანდარტით.

ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის Facebook გვერდის მიმოხილვა, 2023 წლის 31 მარტიდან 2024 წლის 23 სექტემბრის ჩათვლით.



ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი
JO ANN UNIVERSITY HOSPITAL

## საკონტაქტო ინფორმაცია

# შენთვის, შენი გულისთვის!


+995 32 2222211

info@joann.ge

www.joann.ge

გივი ჟვანიას ქ. 17, 0159, თბილისი საქართველო